

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

იანვარი
2022



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

ავტორები:

ნორბერტო პინიატი
უფროსი ეკონომისტი

✉ n.pignatti@iset.ge

გურამ ლობჯანიძე
აკვლევარი

✉ guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე
აკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

გენიშვანლოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის გამომუშავება წლიურად 27%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 14%-ით შემცირდა.
- ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 16%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურად – 2%-ით.
- მოხმარება გამომუშავებას 349 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც დეკემბრის თვის სრული წარმოების 34%-ია.
- წლიური იკვორტი 2%-ით შემცირდა.
- იკვორტში მთავარი პარტნიორი ქვეყანა რუსეთი იყო.
- რუსეთიდან იკვორტის ფასი ერთ კილოვატსაათზე 2.71 თეთრია.
- იკვორტის საშუალო შეწონილი ფასი ლარში წლიურად 3%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურად – 11%-ით შემცირდა.
- ექსპორტის უკიდურესად დაბალი დონის მიუხედავად, ექსპორტში მთავარი პარტნიორი თურქეთი იყო.
- ელექტროენერგიის ექსპორტის ფასი კილოვატსაათზე 23.13 თეთრი იყო.
- 2021 წლის აპრილიდან საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი 2022 წლის იანვარში კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ვერცხლად ჩამოსცდა და 1381-ს მიაღწია. ის უფრო დაბალი იყო 2021 წლის იანვრისა (1613) და 2021 წლის დეკემბრის (2106) გენიშვანლოვანებაზე შედარებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზრის წარმოების ნაწილი უფრო კონცენტრირებული გახდა წინა თვეებთან შედარებით.
- საქართველოს ელექტროენერგიის მოხმარების ბაზრის HHI მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2020 წლის საქებგარი (ინდექსის გენიშვანლოვა – 2522) ბოლო თვე იყო, როდესაც განმავლობაში ინდექსის გენიშვანლოვა მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა. მას შემდეგ ინდექსის ტენდენცია დადგავალი გახდა, თუმცა 2021 წლის ოქტომბრიდან მან ზრდა დაიწყო და 2022 წლის იანვარში 2015-ს მიაღწია.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებალი კომპანია
ეკ ზორჯია	ეკ ზორჯია მიწოდებისთვის


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის იანვარში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1025 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 27%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წლის იანვარში სრული წარმოება 808 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების ყოველწლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (11%), თბოელექტროსადგურების (49%) და ქარის ენერგიის (30%) წარმოების ზრდამ განაპირობა.

თვიური გამოთვლებით წარმოება, დაახლოებით, 14%-ით შემცირდა (2021 წლის დეკემბერში სრული წარმოება 1193 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების ყოველთვიური კლება ჰიდროელექტროენერგიის წარმოების 26%-ით კლებამ განაპირობა, რაც ვერ კომპენსირდა თბო და ქარის ენერგიის წარმოების ზრდით. მათი წარმოება, შესაბამისად, 1%-ით და 23%-ით გაიზარდა.


ელექტროენერგიის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1373 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (16%-ით მეტი 2021 წლის იანვართან შედარებით და 2%-ით მეტი 2021 წლის დეკემბერთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის იანვარში ენერგიის მოხმარებამ წარმოებას 349 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 34%-ს შეადგენდა (2021 წლის იანვარში მოხმარებასა და წარმოებას შორის სხვაობამ 374 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 46%-ს გაუტოლდა).

დიაგრამა 1 - ელექტროენერგიის მოხმარება და გამომუშავება




წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2022 წლის იანვარში ჰესების მიერ ელექტროენერგიის წარმოება 510 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 50%), თბოელექტროსადგურების (თესების) წარმოება – 508 მილიონ კილოვატსაათს, ხოლო ქარის ენერგიის წარმოება – 7 მილიონ კილოვატსაათს (50% და სრული წარმოების 1%-ზე ნაკლები, შესაბამისად) (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2 - ელექტროენერგიის გამომუშავება წყაროების მიხედვით



ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერგიის 38% გამოიმუშავეს (193 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, – 53% (269 მილიონი კილოვატსაათი) და 9% (48 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



თბოელექტროსადგურებიდან მტკვრის თესმა 172 მილიონი კილოვატსაათის ენერგია გამოიმუშავა, რაც სრული თბოელექტროენერგიის 34%-ს და სრულად წარმოებული ენერგიის 17%-ს უდრის. გარდაბანი 1-მა 169 მილიონი კილოვატსაათის ენერგია გამოიმუშავა – სრული თბოელექტროენერგიის 33% და სრულად წარმოებული ენერგიის 17%, ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 163 მილიონი კილოვატსაათი ენერგია – სრული თბოელექტროენერგიის 32% და სრულად წარმოებული ენერგიის 16%. თბოელექტროენერგიის დარჩენილი 3 მილიონი კილოვატსაათი კი Gpower-მა გამოიმუშავა (დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

- დიდი ჰიდროელექტროსადგურების წილი მთლიანი გამომუშავების პროცენტში




წყარო: ESCO

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერგიას, ვარდნილჰესმა 26 მილიონი კილოვატსაათი ენერგია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერგიის 14% და სრული წარმოების 3%). ენგურჰესმა 88 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერგიის 46%-ს და სრული წარმოების 9%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5


- ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ESCO

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის იანვართან შედარებით 27%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).


დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ESCO

ელექტროენერგიის მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (29% – 399 მილიონ კილოვატსაათი), აფხაზეთი (26% – 359 მილიონ კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (21% – 283 მილიონ კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (24% – 332 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). წლიური მოთხოვნა ენერგო-პრო ჯორჯიასგან (2%), აფხაზეთისგან (13%), თელასისა (17%) და პირდაპირი მომხმარებლებისგან (46%) გაიზარდა. საერთო ჯამში, 2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის მოხმარებამ წლიურად 16%-ით გადააჭარბა 2021 წლის იანვრის მოხმარებას (დიაგრამა 8).

დიაგრამა 7 - ელექტროენერგიის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით




წყარო: ESCO

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერგიის დისტრიბუციის შვიდწლიანი. 2021 წლის ივლისიდან კი ელექტროენერგიის მიწოდებაზე ეპ ჯორჯიას პასუხისმგებელია.

² 2021 წლის ივლისიდან ელექტროენერგიის მიწოდებაზე პასუხისმგებელია თელმიკო.

დიაგრამა 8 - ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ESCO

2022 წლის იანვარში საქართველომ 406 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელა (2021 წლის იანვრის 414 მილიონ კილოვატსაათთან შედარებით). ენერგიის 72% რუსეთიდან იქნა იმპორტირებული, 16% სომხეთიდან, 12% კი – აზერბაიჯანიდან (დიაგრამა 9). 2022 წლის იანვარში საქართველომ 3 მილიონ კილოვატსაათზე ნაკლები ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელა, რომელიც სრულად თურქეთის მიერ იქნა იმპორტირებული (2021 წლის იანვარში 1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ექსპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 10). 2022 წლის იანვარში 186 მილიონი კილოვატსაათის ენერგიის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2021 წლის იანვარში კი იმავე მიმართულებით განხორციელდა 13 მილიონი კილოვატსაათი ენერგიის ტრანზიტი).

2021 წლის იანვართან შედარებით, იმპორტი 2%-ით შემცირდა, ხოლო ექსპორტი 141%-ით გაიზარდა.


დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ESCO

დიაგრამა 10

- ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ESCO

2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის იმპორტი თითქმის 96%-ით გაიზარდა 2021 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით (დიაგრამა 11). ელექტროენერგიის ექსპორტი 69-ჯერ გაიზარდა 2021 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით, თუმცა საერთო სურათში ექსპორტის მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩება (დიაგრამა 12). იანვარი ზედიზედ მესამე თვე იყო, რომელიც გამომუშავება-მოხმარების დეფიციტით დასრულდა 6-თვიანი სიჭარბის პერიოდის შემდეგ.


დიაგრამა 11

- იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ESCO

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ESCO

1. საბაზრო ოპერაციები


2022 წლის იანვარში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერგიის 71% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 29% კი – საბალანსო ელექტროენერგიის სახით (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერგიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერგიის წილი




2022 წლის იანვარში საბალანსო ელექტროენერგიის შეწონილი საშუალო ფასი იყო 18.4 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური ზრდის 18%-ს შეესაბამება 2021 წლის იანვართან შედარებით. რაც შეეხება საშუალო ფასს, დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის ის 4.7 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის იანვრის მონაცემებთან შედარებით 63%-იანი კლების ტოლფასია (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერგიის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო




ინფორმაცია გარანტირებული სიმძლავრის ბაზრის შესახებ 2022 წლის იანვრისთვის არ არის ხელმისაწვდომი. უახლესი მონაცემები 2021 წლის იანვარს მიესადაგება (2021 წლის იანვრის EMR-შია ხელმისაწვდომი).

2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის იმპორტის საშუალო ფასი აშშ დოლარში წლიურად 11%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 3%-ით (2021 წლის იანვარში არსებული 2.51 ცენტიდან ან 8.27 თეთრიდან კილოვატსაათზე – 2.78 ცენტამდე ან 8.55 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის იანვარში – დიაგრამა 15). იმპორტის საშუალო ფასი თვითურად აშშ დოლარში და ლარში 11%-ით შემცირდა (2021 წლის დეკემბერში ფასი 3.11 ცენტს ან 9.63 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე). 2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის ექსპორტის ფასი წლიურად აშშ დოლარში 15%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 7%-ით (2021 წლის იანვარში არსებული 6.54 ცენტიდან ან 21.56 თეთრიდან კილოვატსაათზე – 7.51 ცენტამდე ან 23.13 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის იანვარში – დიაგრამა 15). ექსპორტის საშუალო ფასი თვითურად 9%-ით გაიზარდა აშშ დოლარში და ლარში (2021 წლის დეკემბერში ფასი 6.86 ცენტს ან 21.27 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე).



2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის იმპორტის ფასი კილოვატსაათზე სომხეთიდან 7.45 ცენტს ან 22.95 თეთრს შეადგენდა, აზერბაიჯანიდან – 7.77 ცენტს ან 23.93 თეთრს, რუსეთიდან კი – 2.71 თეთრს (დიაგრამა 16).


დიაგრამა 16 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ESCO/Geostat

2022 წლის იანვარში ელექტროენერგიის ექსპორტის ფასი თურქეთში 7.51 ცენტს ან 23.13 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ESCO/Geostat

2. ბაზრის კონცენტრაცია

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს ვიყენებთ იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის იანვარში საქართველოს ელექტროენერგიის გამომუშავების ბაზრის ინდექსი კონცენტრირებულ და არაკონცენტრირებულ ბაზრებს შორის ზღვარს ჩამოსცდა (2021 წლის აპრილის შემდეგ პირველად) და HHI 1381 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 18). აღნიშნული კი 2021 წლის იანვრისა (HHI 1613 ერთეული) და 2021 წლის დეკემბრის მაჩვენებლებზე დაბალია (HHI 2106 ერთეული). რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის იანვარში HHI მოხმარების ინდექსი მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2015 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის იანვრის მაჩვენებელზე – 2332 – დაბალი და 2021 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე – 1913 – მცირედით მაღალი). რეალურად 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის სეგმენტში დადმავალი ტენდენცია აღინიშნება. სურათი 2021 წლის სექტემბრის შემდეგ შეიცვალა და ბოლო 4 თვის განმავლობაში მცირედით მზარდი დინამიკა აღინიშნება (დიაგრამა 19).


დიაგრამა 18

- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერგიის გამომუშავებისთვის



დიაგრამა 19

- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერგიის მოხმარებისთვის



HHI ინდექსი

ზღვარი კონკურენტულსა და არაკონცენტრირებულ ბაზრებს შორის

ზღვარი არაკონცენტრირებულ და კონცენტრირებულ ბაზრებს შორის

ზღვარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებულ ბაზართან

წყარო: ESCO